ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 222

“ 27 ” ივნისი 2017 წ.

ქ. თბილისი

2012 წლის 9 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების დადასტურებისა და შესაბამისი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის - ეკა კოპალეიშვილის (პ/ნ: 01015023159) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“, „დ.ზ“ ქვეპუნქტების, და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, “2012 წლის 9 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების დადასტურებისა და შესაბამისი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის - ეკა კოპალეიშვილის (პ/ნ: 01015023159) გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 24 მაისის N18.15.357 განკარგულების შესაბამისად, 2012 წლის 9 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ფიზიკური პირის - ეკა კოპალეიშვილის (პ/ნ: 01015023159) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი